2-9444/19
21-05-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის თაობაზე

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2019 წლის 21 მაისს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ წარმოდგენილი არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტების წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (ეკა ბესელიას, ზვიად კვაჭანტირაძის, გედევან ფოფხაძის, ბექა ნაცვლიშვილის, მირიან ნიკოლაძის, მირიან წიკლაურის, კობა ნარჩემაშვილის, ლევან გოგიჩაიშვილის, ნატო ჩხეიძისა და ვახტანგ შაქარიშვილის შემადგენლობით) განცხადება.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მოწოდებული საინიციატივო ჯგუფის განცხადება და თანდართული მასალები წარმოდგენილი იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარება, გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ აღნიშნული კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის (ფურცლის) ნიმუში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
გიორგი კახიანი